აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 4

27 ივნისი 2007 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თამაზ შარმანაშვილი, ქეთევან ჯიქია, გია გარსევანიშვილი, გუგული დუაძე, ასლან ჩავლეიშვილი

სხდომას არ ესწრებოდა: კომისიის წევრი თამარ ხოზრევანიძე

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: იურიდიული სამსახურის უფროსი ფრიდონ ბათნიძე, ეკონომიკური სამსახურის უფროსი ლევან სამნიძე

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და წარადგინა დღის წესრიგის პროექტი

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიის აპარატში იმ სამსახურებისა და საშტატო ნუსხის განსაზღვრის შესახებ, რომელთაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიკატი.

(მომხს. ა. მიქელაძე)

2. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ

(მომხს. ა. მიქელაძე)

3. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 16 მარტის №1 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

(მომხს. ა. მიქელაძე)

4. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიმდინარე ხარჯების დამტკიცების შესახებ

(მომხს. ა. მიქელაძე)

5. სხვადასხვა.

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიის აპარატში იმ სამსახურებისა და საშტატო ნუსხის განსაზღვრის შესახებ, რომელთაც არ ესაჭიროებათ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერთიფიკატი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ 2007 წლის 24 აპრილს „აჭარის ავტონომიურის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების თანახმად, უსკოს მიენიჭა უფლებამოსილება დადგენილებით განსაზღვროს იმ სამსახურებისა და

მოხელეების ჩამონათვალი, რომლებიც არ დაექვემდებარებიან სავალდებულო სერთიფიცირებას. შესაბამისად უსკოს მიერ განსაზღვრული უნდა იქნას საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ის სამსახურები და მოხელეები, რომლებიც არ საჭიროებენ სავალდებულო სერთიფიცირებას. კერძოდ მან აღნიშნა, რომ სავალდებულო სერთოფიცირებას არ უნდა დაექვემდებარონ ეკონომიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები, რადგანაც ეს ის სამსახურებია, რომელთა საქმიანობაც პირდაპირ არ არის დაკავშირებული საარჩევნო პროცედურასთან. სხდომის თავმჯდომარემ ასევე მუხლობრივად განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვა

გია გარსევანიშვილმა და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტი მთლიანობაში სრულყოფილია, მაგრამ მითითებული სამსახურების გარდა სავალდებულო სერთიფიცირებას არ უნდა დაექვემდებაროს ასევე საკადრო სამსახურიც, რადგანაც ამ სამსახურის საქმიანობა, ისევე როგორც ეკონომიკური და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საქმიანობა პირდაპირ არ არის დაკავშირებული საარჩევნო პროცედურასთან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის შენიშვნის გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი

მიღებულია დადგენილება:

,,უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის ეკონომიკური, კადრებისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის შტატით გათვალისწინებული მოხელეები არ დაექვემდებარონ სავალდებულო სერტიფიცირებას.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ 2007 წლის 21 ივნისს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2007 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების თანახმად, შესაძლებელია გაიზარდოს უსკოს თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოს ოდენობა, რისთვისაც აუცილებელია საშტატო განრიგის დამტკიცება. ასევე სხდომის თავმჯდომარემ განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო პროექტში. რის შემდეგაც სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა მისცა ეკონომიკური სამსახურის უფროსს ლ. სამნიძეს საშტატო განრიგში ცვლილებების მიზეზების დეტალური განმარტებისათვის. ეკონომიკური სამსახურის უფროსმა ლ. სამნიძემ აღნიშნა, რომ 2007 წლის 21 ივნისს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2007 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციებს გაეზარდათ სახელფასო ფონდი, რის საფუძველზეც ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციებში გაიზრდა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგო. მითითებულ ცვლილებებში ასევე გათვალისწინებულია უმაღლესი საარჩევნო კომისიის 19 საშტატო ერთეულზე სახელფასო განაკვეთების მატება. ასევე მან აღნიშნა,

	რომ 2007 წლის 21 ივნისს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2007 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით უსკოს განუსაზღვრეს III და IV კვარტლის სახელფასო განაკვეთების გაზრდის მიზნით 19118 ლარი, რომელიც გადანაწილდა წარმოდგენილი საშტატო განრიგის პროექტის მიხედვით, სადაც თვიური სახელფასო ფონდი გაიზარდა 2750 ლარით.
აზრი გამოთქვეს:	წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ
კენჭისყრის შედეგი:	მომხრე 6; წინააღმდეგი 0; კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგი:

ა) დანართი № 1 (უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობა და წევრები);

ბ) დანართი № 2 (უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატი).

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2007 წლის 1 ივლისიდან.

3. დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 16 მარტის № 1 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ 2007 წლის 24 აპრილის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგის დადგენილებით დამტკიცება პირდაპირ განსაზღვრული არ არის. მითითებული ცვლილებებისა და დამატებების განხორციელებამდე უმაღლესი საარჩევნო კომისია საშტატო განრიგს ამტკიცებდა დადგენილებით, რაც პირდაპირ გათვალისწინებული იყო კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, უმაღლეს საარჩევნო კომისიას დადგენილების მიღება შეუძლია კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში. ასევე მან აღნიშნა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ უსკოს მიერ საშტატო განრიგი დამტკიცებული იქნა განკარგულებით, ძალადკარგულად უნდა გამოცხადდეს 2007 წლის 16 მარტის №1 დადგენილება.

აზრი გამოთქვეს: სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 16 მარტის №1 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი

მიღებულია დადგენილება:

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 16 მარტის №1 დადგენილება (გაზეთი „აჭარა“ №43 20. 03. 07. წ).

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30) მისი გამოქვეყნებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2007 წლის 1 ივლისიდან.

4. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიმდინარე ხარჯების დამტკიცების შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ 2007 წლის 21 ივნისს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2007 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების საფუძველზე ცვლილებები განიცადა უმაღლესი საარჩევნო კომისიის საბიუჯეტო ასიგნებებმა, რის საფუძველზეც უნდა შევიდეს ცვლილებები უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიმდინარე ხარჯებში. ასევე სხდომის თავმჯდომარემ განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიმდინარე ხარჯების დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი

მიღებულია განკარგულება:

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის მიმდინარე ხარჯები (III და IV კვარტალის) თანახმად დანართისა.

მუხლი 2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2007 წლის 25 მაისის № 2 განკარგულება.

მუხლი 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს 2007 წლის 1 ივლისიდან.

სხდომაზე სხვა საკითხები არ განხილულა.

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი ქ. ჯიქია